სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #6

ქ. თბილისი 2023 წლის 28 ივლისი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ლელა ბახტაძე 4. მარინა მაისურაძე 5. დავით ნებიერიძე 6. ელენე გაჩეჩილაძე 7. ლიკა წერეთელი 8.ილია თავხელიძე 9. ლია მაჭავარიანი 10. ნათელა არჩვაძე 11. ამირან ბიბილაშვილი 12. მარიამ ახალკაციშვილი 14. ვასილ ბერიძე 15. დავით შუბითიძე 16. მაია ივანიძე 17. ნათია სვანაძე 18. ავთანდილ ტუკვაძე 19. კახა კუჭუხიძე 20. ვლადიმერ გამსახურდია 21. ზურაბ ჩხაიძე 22. შალვა ფარულავა 23. გიორგი პატარაია 24. კახაბერ ლორია 25. მანანა რუსიეშვილი 26. ლერი თავაძე 27. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 28. გიორგი არქანია 29. ზურაბ გაიპარაშვილი 30. ნინო პავლიაშვილი 31. ადა ნემსაძე 32. თეიმურაზ მაჩაიძე 33. თამილა ჩალაძე 34. გიორგი მამარდაშვილი 35. ედიშერ ფუტკარაძე 36. მანანა ნიკოლაიშვილი 37. მარინე ხუციშვილი 38. ნოდარ ლომიძე 39. თეა შავაძე 40. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად, კენჭისყრით, მხარი დაუჭირეს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიმდინარე სხდომის თავმჯდომარედ სენატის უხუცესი წევრის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის - ამირან ბიბილაშვილის არჩევის საკითხს.

შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომის თავმჯდომარემ, ამირან ბიბილაშვილმა საბჭოს წინაშე დასვა დღის წესრიგის წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

**დღის წესრიგი:**

1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის №67/2023 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: **ნათელა ლაცაბიძე**);

2. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.096) მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8 X 5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (**მომხსენებელი: ლაშა საღინაძე**);

3. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 1.10.13.040.096) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (**მომხსენებელი: ლაშა საღინაძე**);

4. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ.) იჯარით გაცემის შესახებ, სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით (**მომხსენებელი: ლაშა საღინაძე**);

5. ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის თხოვების ხელშეკრულებით გადაცემულ ფართში (საკადასტრო კოდით: 01.14.03.042.137) განთავსებული ინვენტარის დროებით სარგებლობაში გადაეცემის საკითხი (**მომხსენებელი: ლაშა საღინაძე**);

6. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტერიტორიაზე 796,69 კვ/მ ფართის იჯარით გაცემის საკითხი (**მომხსენებელი: ლაშა საღინაძე**);

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

1.დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის №67/2023 დადგენილება. როგორც საკითხის მომხსენებელმა, თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნათელა ლაცაბიძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესში ახლახან დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, ვისი სამუშაო დროც განისაზღვრება 09.00 საათიდან 18.00 საათამდე, სამუშაო კვირის განმავლობაში, სამუშაო საათების ფარგლებში, უფლება მიეცათ განახორციელონ უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 4 საათის. შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წარმოდგენილი დადგენილებიდან ამოღებული იქნა მე-10 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თსუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში არ ეძლეოდათ ,,ა“ კატეგორიის შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურება, ვინაიდან უნივერსიტეტის შინაგანაწესში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, ამ მუხლის დატოვების საჭიროება არ არსებობს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის №67/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 2);

2.დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით, თსუ კანცლერმა, ლაშა საღინაძემ, წარმომადენლობითი საბჭოს წინაშე დასვა ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.096) მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის

შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა- გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8 X 5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ძირითადი სივრცის და ფართების იზოლირება და მოწყობა მოხდება დამქირავებლის მიერ, ასევე კომუნალური გადასახადების (წყლის, ბუნებრივი
აირის და ელ.ენერგიის) გადახდა მოხდება დამქირავებლის მიერ დამონტაჟებული განმხოლოებული მრიცხველების შესაბამისად (თსუ-ში შემოსული დოკუმენტის საფუძველზე).

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.096) მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა- გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8 X 5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, კანონით დადგენილი წესით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემაზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, წარმოდგენილი პირობებით. (დანართი 3)

3. დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა, ლაშა საღინაძემ აღნიშნა, რომ შემოსულია მოთხოვნა, ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 1.10.13.040.096) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემაზე, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (ძირითადი სივრცე და ფართების იზოლირება მოხდება დამქირავებლის მიერ (თსუ-ში შემოსული დოკუმენტის შესაბამისად);

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 1.10.13.040.096) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის, კანონით დადგენილი წესით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემაზე, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით, წარმოდგენილი პირობებით (დანართი 4);

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იქნა თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ.) იჯარით გაცემის საკითხი, სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით, რასაც განახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული აპარატის განთავსების მიზანია ზემოხსენებულ შენობა- ნაგებობაში მყოფი მოქალაქეების მომსახურების გაუმჯობესება (თსუ-ში შემოსული დოკუმენტის საფუძველზე).

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ.), კანონით დადგენილი წესით, იჯარით გაცემაზე, სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით (დანართი 5);

5. დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა, ლაშა საღინაძემ აღნიშნა, რომ შემოსულია ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტის რექტორის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართში, რომელიც თხოვების ხელშეკრულებით გადაეცა ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტს, განთავსებული ინვენტარის დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხი.

აღინიშნა, რომ წერილში, სადაც სასწავლებლის მხრიდან მოთხოვნილი იყო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან, დაახლოებით 1000 კვ.მ ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხი, დაშვებული იქნა ტექნიკური უზუსტობა და გამორჩენილი იქნა საკითხი, აღნიშნულ ფართში არსებული ინვენტარის სარგებლობის უფლებით გადმოცემასთან დაკავშირებით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის თხოვების ხელშეკრულებით გადაცემულ ფართში (საკადასტრო კოდით: 01.14.03.042.137) განთავსებული ინვენტარის, კანონით დადგენილი წესით, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემაზე (დანართი 6);

6. როგორც საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა აღნიშნა, საქართველოს ტაილანდური კრივისა და კინბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ითხოვს თსუ-ს ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტერიტორიაზე 796,69 კვ/მ ფართის იჯარით გადაცემას. აღნიშნული ფართის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია , დაზიანება მესამე ხარისხისაა, რაზეც ეცნობა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ წარედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომლითაც იჯარით გასაცემი ობიექტი დეფორმაციით მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოადგენს II-III ხარისხის ავარიულ შენობას (დასკვა მიეწოდა სენატის წევრებს), თუმცა მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარე გამოხატავს თანხმობას აიღოს ფართი იჯარით, შეაკეთოს დაზიანება, ჩაატაროს კოსმეტიკური რემონტი, რათა სპორტსმენებს და სხვა მსურველებს შეექმნათ ვარჯიშის ნორმალური პირობები, ხოლო საქართველოს ნაკრების წევრები და უნივერსიტეტის სტუდენტები ივარჯიშებენ უფასოდ.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა,თსუ-ს ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტერიტორიაზე 796,69 კვ/მ ფართის, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გადაცემაზე წარმოდგენილი პირობებით (დანართი 7);

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელმა ლერი თავაძემ მიმართა სენატს საკითხით, რომელიც ეხებოდა სამეცნიერო გრანტების ზედნადებ ხარჯებს. ითხოვა, აღნიშნულ საკითხზე წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება, კერძოდ, სენატის მიერ შესაბამისი კომისიის შექმნა (საჭიროების შემთხვევაში თსუ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით), რომელიც შეისწავლის გრანტების ზედნადები ხარჯების უდიდესი ნაწილის, როგორც სახელფასო დანამატის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 18 თანამშრომელზე გადანაწილების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის საკითხს. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მომავალი სხდომისთვის, იგი ოფიციალურად, წერილობით მიმართავს წარმომადგენლობით საბჭოს აღნიშნულ საკითხზე რეაგირებისთვის.
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელმა გიორგი არქანიამ მიმართა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ სტუდენტს, მკვლევარს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორს, რომელმაც გამომცემლობისა და თსუ წიგნების მაღაზიის მუშაობაზე გამოთქვა უკმაყოფილება ფეისბუქპოსტის საშუალებით, წაუშალეს პოსტი და შემდგომ კი საერთოდ დაბლოკეს. გამომსვლელი დაინტერესდა, თუ ვინ განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფეისბუქგვერდის წვდომაზე შეზღუდვას და რატომ მოხდა მსგავსი რამ, მაშინ როდესაც, ეთიკის ნორმების დარღვევას სტუდენტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.
როგორც კანცლერმა აღნიშნა, უნივერსიტეტის ფეისბუქგვერდს აკონტროლებს უნივერსიტეტის პიარის სამსახური. აღნიშნული შემთხვევის შესახებ მისთვის ცნობილი არ არის და საკითხით აუცილებლად დაინტერესდება.
აქვე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მხრიდან დაისვა საკითხი, რომ უნივერსიტეტის წიგნების მაღაზიაში, შესაძლებელი იყოს ანგარიშსწორება, ასევე გადახდის ბარათის მეშვეობითაც. კანცლერმა გამოთქვა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მზადყოფნა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის თავმჯდომარე ამირან ბიბილაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი



დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2023 წლის 28 ივლისის #6 სხდომა)

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვაიძე -

3. ნინო ფარესიშვილი -

4. ლელა ბახტაძე -

5. მარინა [illegible] -

სტუდენტები:

1. [illegible] -

2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ [illegible] -

4. [illegible] -

5. [illegible] -

6. ლიკა [illegible] -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. [illegible] -

2. ლია [illegible] -

3. [illegible] -

4. [illegible] -

5. [illegible] -

6. [illegible] -

სტუდენტები:

1. ანა [illegible] -

2. მარიამ [illegible] -

3. [illegible]

4. [illegible]

## იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

სტუდენტები:

1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. [illegible]-

2. [illegible]-

3. [illegible]-

სტუდენტები:

1. [illegible]-

2. [illegible]-

3. [illegible]-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. [illegible]-

2. [illegible]-

სტუდენტები:

1. ანი [illegible]-

2. [illegible]-

## მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

4. [illegible]

5. [illegible]

სტუდენტები:

1. [illegible]

2. [illegible]

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლომია

2. ანასტასია ზაქარიაძე

3. ვლადიმერ ბჟალავა

4. მანანა ჩიტაიშვილი

5. თეა ჭანტურია

6. ლერი ოთაძე

7. ზურაბ ფურცელაშვილი

8. ირმა სანიკიძე

სტუდენტები:

1. გიორგი აბესაძე

2. ნანა გიორგაძე

3. ნინო კობიაშვილი

4. ნანა ლოლაძე

5. ლევან მამისაშვილი

რ. ლუკა ნარმანია

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პაპუნაშვილი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ეთერი სოფაძე

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ნიჟარაშვილი

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე

ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

[illegible]:

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

[illegible]:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

[illegible]

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

[illegible]:

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

[illegible]

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

[illegible]

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

[illegible]

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

[illegible]

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

[illegible]

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

[illegible]

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

[illegible]

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

[illegible]

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 67/2023 10 ივლისი 2023წ.

**„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 19 ივნისის №16521/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის №11 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ამოღებულ იქნეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების მე-10 პუნქტი.

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ᲡᲡᲘᲞ – ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ACADEMIC COUNCIL

N 19805/10
18.07.2023

19805-10-3-202307181436

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის  №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის №67/2023 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 15247/10 07/06/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ შემდეგი განსახილველი საკითხები:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.096) მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8 X 5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ძირითადი სივრცის და ფართების იზოლირება და მოწყობა მოხდება დამქირავებლის მიერ, ასევე კომუნალური გადასახადების (წყლის, ბუნებრივი აირის და ელ.ენერგიის) გადახდა მოხდება დამქირავებლის მიერ დამონტაჟებული განმხოლოებული მრიცხველების შესაბამისად (შემოსული N7664/10 დოკუმენტის საფუძველზე).
2. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 1.10.13.040.096) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (ძირითადი სივრცე და ფართების იზოლირება მოხდება დამქირავებლის მიერ (შემოსული N7664/10 დოკუმენტის საფუძველზე).

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

3. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ.) იჯარით გაცემის შესახებ, სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით, რასაც განახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული აპარატის განთავსების მიზანია ზემოხსენებულ შენობა-ნაგებობაში მყოფი მოქალაქეების მომსახურებისგაუმჯობესება (შემოსული MES6230000547776 დოკუმენტის საფუძველზე).

დანართი 2 ფაილი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 7664/10 23/03/2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

თქვენს მიერ, 15 დეკემბერს გამოგზავნილი ელექტრონული წერილის პასუხად, გიგზავნით იჯარით გასაცემი ფართების წერილს:

1. ქ. თბილისი, მ.ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი N01.10.13.040.096 ) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებულ 69,6 კვ/მ ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციით კაფის მოსაწყობად (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართის სულ-49,25კვ/მ სამზარეულოს მოსაწყობად და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიზე 40კვ/მ ( 8 X 5) ფართის, ღია კაფის მოსაწყობად, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. (ძირითადი სივრციდან ფართების იზოლირება და მოწყობა მოხდება დამქირავებლის მიერ, ასევე კომუნალური გადასახადების (წყლის, ბუნებრივი აირის და ელ.ენერგიის) გადახდა მოხდება დამქირავებლის მიერ დამონტაჟებული განმხოლოებული მრიცხველების შესაბამისად). ნახაზი 1.
2. ქ.თბილისი, მ.ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი N01.10.13.040.096 ) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (ძირითადი სივრციდან ფართების იზოლირება მოხდება დამქირავებლის მიერ). ნახაზი 2.

იჯარით გასაცემი ფართების ნახაზები და სურათები წერილს თან ერთვის.

პატივისცემით,

ნინო პავლიაშვილი

დირექტორი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 15247/10 07/06/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ შემდეგი განსახილველი საკითხები:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.096) მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8 X 5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ძირითადი სივრცის და ფართების იზოლირება და მოწყობა მოხდება დამქირავებლის მიერ, ასევე კომუნალური გადასახადების (წყლის, ბუნებრივი აირის და ელ.ენერგიის) გადახდა მოხდება დამქირავებლის მიერ დამონტაჟებული განმხოლოებული მრიცხველების შესაბამისად (შემოსული N7664/10 დოკუმენტის საფუძველზე).
2. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 1.10.13.040.096) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (ძირითადი სივრცე და ფართების იზოლირება მოხდება დამქირავებლის მიერ (შემოსული N7664/10 დოკუმენტის საფუძველზე).

3. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ.) იჯარით გაცემის შესახებ, სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით, რასაც განახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული აპარატის განთავსების მიზანია ზემოხსენებულ შენობა-ნაგებობაში მყოფი მოქალაქეების მომსახურებისგაუმჯობესება (შემოსული MES6230000547776 დოკუმენტის საფუძველზე).

დანართი 2 ფაილი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 7664/10 23/03/2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

თქვენს მიერ, 15 დეკემბერს გამოგზავნილი ელექტრონული წერილის პასუხად, გიგზავნით იჯარით გასაცემი ფართების წერილს:

1. ქ. თბილისი, მ.ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი N01.10.13.040.096 ) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებულ 69,6 კვ/მ ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციით კაფის მოსაწყობად (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართის სულ-49,25კვ/მ სამზარეულოს მოსაწყობად და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიზე 40კვ/მ ( 8 X 5) ფართის, ღია კაფის მოსაწყობად, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. (ძირითადი სივრციდან ფართების იზოლირება და მოწყობა მოხდება დამქირავებლის მიერ, ასევე კომუნალური გადასახადების (წყლის, ბუნებრივი აირის და ელ.ენერგიის) გადახდა მოხდება დამქირავებლის მიერ დამონტაჟებული განმხოლოებული მრიცხველების შესაბამისად). ნახაზი 1.
2. ქ.თბილისი, მ.ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი N01.10.13.040.096 ) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (ძირითადი სივრციდან ფართების იზოლირება მოხდება დამქირავებლის მიერ). ნახაზი 2.

იჯარით გასაცემი ფართების ნახაზები და სურათები წერილს თან ერთვის.

პატივისცემით,

ნინო პავლიაშვილი

დირექტორი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 15247/10 07/06/2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ შემდეგი განსახილველი საკითხები:

1. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.096) მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) ამავე შენობის პირველი სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის, მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8 X 5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ძირითადი სივრცის და ფართების იზოლირება და მოწყობა მოხდება დამქირავებლის მიერ, ასევე კომუნალური გადასახადების (წყლის, ბუნებრივი აირის და ელ.ენერგიის) გადახდა მოხდება დამქირავებლის მიერ დამონტაჟებული განმხოლოებული მრიცხველების შესაბამისად (შემოსული N7664/10 დოკუმენტის საფუძველზე).
2. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: 1.10.13.040.096) მდებარე თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (ძირითადი სივრცე და ფართების იზოლირება მოხდება დამქირავებლის მიერ (შემოსული N7664/10 დოკუმენტის საფუძველზე).

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

3. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი N2-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების - N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილის (1 კვ.მ.) იჯარით გაცემის შესახებ, სწრაფი გადახდის აპარატის (pay box) განთავსების მიზნით, რასაც განახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული აპარატის განთავსების მიზანია ზემოხსენებულ შენობა-ნაგებობაში მყოფი მოქალაქეების მომსახურებისგაუმჯობესება (შემოსული MES6230000547776 დოკუმენტის საფუძველზე).

დანართი 2 ფაილი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 0 23 0000327026

22/03/2023

**სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორს ბატონ ერეკლე ასტახიშვილს**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს** ბატონ ლაშა საღინაძეს

**სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსს ბატონ გელა გელაძეს**

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი განთავსებულია ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში, სადაც 543.88 კვ.მ. (ჰოლი, კიბის უჯრედი, სან. კვანძები და დერეფანი) წარმოადგენს საერთო სარგებლობის ფართს (საკადასტრო კოდი №01.10.13.040.017).

მოქალაქეების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2022 წელს გააფორმა იჯარის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, რომლის მიხედვით, პირველი სართულის საერთო სარგებლობის ფართის ნაწილი (1კვ.მ) გაიცა იჯარით და განთავსდა სწრაფი გადახდის აპარატი (pay box). აღნიშნული ხელშეკრულებების ვადა იწურება მიმდინარე წლის 1 ივლისს.

საჭიროა აუქციონის ხელახლა ჩატარება, რისთვისაც გთხოვთ თქვენს წერილობით თანხმობას ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

N 20371/10 21.07.2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ:

1.ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით რომელიც თხოვების ხელშეკრულებით გადაეცა ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტს შემოსული დოკუმენტი 12475/10-02 საფუძველზე ითხოვს დროებით სარგებლობაში გადაეცეს აღნიშნულ ფართში განთავსებული ინვენტარი.(იხ.დანართი )

2. საქართველოს ტაილანდური კრივისა და კინბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის 2023წლის კორესპოდენციით **(თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრებით 5305/10-02 17.03.2023წ და 6015/10-02 28.03.2023წ)** ითხოვს თსუ-ს ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტერიტორიაზე 796,69 კვ/მ ფართის იჯარით გადაცემას, აღნიშნული ფართის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია დაზიანება მესამე ხარისხისაა, რაზეც ეცნობა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ წარედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2022 წლის 15 აგვისტოს N005295422 დასკვნა, რომლითაც იჯარით გასაცემი ობიექტი დეფორმაციით მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოადგენს II-III ხარისხის ავარიულ შენობას(იხ.დანართი ) თუმცა მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარე გამოხატავს თანხმობას აიღოს ფართი იჯარით, შეაკეთოს დაზიანება, ჩაატაროს კოსმეტიკური რემონტი, რათა სპორტსმენებს და სხვა მსურველებს შეექმნათ ვარჯიშის ნორმალური პირობები, ხოლო საქართველოს ნაკრების წევრები და უნივერსიტეტის სტუდენტები ივარჯიშებენ უფასოდ.

დანართი 4 ფაილი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*რექტორს, ბატონ ჯაბა სამუშიას*

N/41

14 ივლისი, 2023 წელი

ბატონო ჯაბა,

როგორც მოგეხსენებათ, 2023 წლის 18 მაისს წერილით მოგმართათ ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესმა სასწავლებელმა“ , რომლითაც მოითხოვა ა(ა)იპ „მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელისთვის“ უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, იჯარის/თხოვების ფორმით, დროებით (6 (ექვსი) წლის ვადით) სარგებლობაში გადაგვეცათ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. 6 - ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართიდან (ს.კ. 01.14.03.042.137) ნაწილი, დაახლოებით საერთო ფართით - 1000 კვ.მ-დე, ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ დროებით განთავსების მიზნით. ტექნიკური პრობლემების გათვალისწინებით, აღნიშნულ წერილში გამორჩენილი იყო აღნიშნულ ფართში არსებული ინვენტარით სარგებლობის უფლების გადმოცემა. შესაბამისად, აღნიშნული წერილით მოგმართავთ თხოვნით, გადმოგვცეთ დროებით სარგებლობაში, თხოვების ხელშეკრულების ვადით, გადმოსაცემ ფართში არსებული ინვენტარი სრულად.

*პატივისცემით,*

*სასწავლებლის რექტორი*

*არქიმანდრიტი იოანე (სილევან) კიკვაძე*

თბილისი, ზ. ანჯაფარიძის №21, 032 2 30 65 92; 032 2 30 65 94
infosaeklesiomusika@gmail.com; saeklesiogaloba@yahoo.com
www. galoba.edu.ge
გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი

## თსუ-ს საკუთრებაში არსებული ქ.თბილისის თამარაშვილის N6-ში (ნაკვ.42/137) მდებარე შენობა-ნაგებობა N7-ის მე-4 და მე-6 სართულზე მდებარე ფართში არსებული ინვენტარის აღწერა

### მე 4 სართული

**400**---წესრიგის დაცვის მენეჯერის ოთახი
2 მაგიდა
1 კარადა
4 სკამი
1 ტელეფონი
1 მონიტორი (სათვალთვალო)
**401** ----2 კარადა
4 სკამი
2მაგიდა
1 კომპიუტერი
1 პრინტერი
1 ტელეფონი
1 პროექტორი ეკრანით
**402**--- 1 კარადა
5 დაფა (2 კორპის.3 მარკერის)
**403**---1 კედელი(კარადა წიგნებით)
1 კარადა
1 კომოდი
1 მაგიდა
2 სკამი
1 კომპიუტერი
1 ფერადი პრინტერი
**404**----3 მაგიდა
1 კომოდი
3 სკამი
1 კომპიუტერი
1 ტელეფონი
2 პროექტორი
2 დაფა ( 1მარკერის,1 კორპის)
**405 (აუდიტორია)**
8 მაგიდა
15 სკამი(14 სტუდენტის,1 საოფისე)
1 დაფა(მარკერის)
**406(აუდიტორია)**
9 მერხი (2 ადგილიანი სკამით)
1საოფისე მაგიდა
1 საოფისე სკამი
1 დაფა (მარკერის)
**407**----3 მაგიდა
4 სკამი
1 კარადა

3 კომპიუტერი

**408-  (აუდიტორია)**
9 მერხი (ორადგილიანი სკამით)
1 საოფისე მაგიდა
1 საოფისე სკამი. 1 დაფა (მარკერის)
**409 ---(აუდიტორია)**
11 მაგიდა
23 სკამი
1 საოფისე მაგიდა,1 საოფისე სკამი
**410**----4 კარადა
10 ღია თარო
1 ღია კარადა
1 დახურული კარადა,
1 მაგიდა
3 სკამი
1 კომპიუტერი.
**411**---2 კომპიუტერი
2 მაგიდა
1 კომოდი
2 პრინტერი
1 ტელეფონი
1 დახურული კარადა.
4 სკამი
**412**---- 8 პატარა კარადა
2 მაგიდა
4 სკამი
**413**---**(აუდიტორია)**
10 მერხი(2 ადგილიანი სკამით)
1 საოფისე სკამი
1 დაფა(მარკერის)
**415**----3 მაგიდა
6 სკამი
5 განყოფილებიანი წიგნების თარო
2 წიგნის თარო
1 კარადა მინით დახურული
1 მაცივარი
1 ტელეფონი
1 პრინტერი
**416**-----6 მაგიდა
9 სკამი
9კომპიუტერი
**417**----4 კომპიუტერი
2 პრინტერ/სკანერი
4 მაგიდა
4 სკამი
2 კარადა
1 ტანსაცმლის კარადა
1 დაფა( მარკერის)

**418**----1 კომპიუტერი
1 პრინტერ/სკანერი
3 მაგიდა
4კარადა
2 სავარძელი
6 სკამი
1 კომოდი
1 ტელეფონი
1 დაფა (მარკერის)
**419**----2 მაგიდა
2 კარადა
1 თარო
1 კომპიუტერი
1 ფაქსის აპარატი
1 პრინტერი
1 სკანერი
7 სკამი
1 სავარძელი
1 ტელეფონი
1 კომოდი
1 ტანსაცმლის საკიდი
2 დაფა (1 კორპის,1 მარკერის)
**420**-----1 დიდი კედლის კარადა(წიგნებით)
4 მაგიდა
10 სკამი
4კომპიუტერი
1 დაფა (კორპის)
1 ნაძვის ხე
**422** ----1 სათათბირო მაგიდა
1 კედლის დიდი კარადა(წიგნებით)
13 სკამი
1 მაგიდა
1 კომპიუტერი
2 პროექტორი
1 ტელეფონი
**424**-----2 მაგიდა
1 მაგიდის მისადგმელი
1 მაცივარი
1 კომპიუტერი
1 პრინტერ/სკანერი
1 ტელეფონი
4 სკამი
1 მთლიანი კედელი(წიგნების თაროები)

**დერეფანი** -----2 მაგიდა .4 სკამი,4 კამერა,2 სახანძრო ცეცხლმაქრი,1 საინფორმაციო დაფა,1 კორპის დაფა,1 ვაიფაის როუტერი.

## მე 6 სართული

**600** ---**სამედიცინო კაბინეტი**

**602** ---**აუდიტორია**
14 მერხი(2 ადგილიანი სკამით)
1 საოფისე მაგიდა
1 საოფისე სკამი
1 პროექტორი ეკრანით
**607---აუდიტორია**
32 მერხი( 2 ადგილიანი სკამით)
1 საოფისე მაგიდა
1საოფისე სკამი
1 კათედრა
1 დაფა ელექტრონული
1 დაფა(მარკერის)
**608**-----57 მერხი(2 ადგილიანი სკამით)
1 საოფისე მაგიდა
1 კათედრა
1 პროექტორი ეკრანით
1 გახმოვანების სისტემა
1 დაფა (მარკერის)
**609**----საწყობი

**დერეფანი**------ცეცხლმაქრი -2.როუტერი -1.

სულ ჯამში ----

პერსონალური კომპუტერი--------30

საოფისე ტელეფონი-----------------9

მაგიდა ---------------------------------69

სკამი------------------------------------125

ორადგილიანი მერხი სკამით--------131

პროექტორი ეკრანით------------------8

დაფა(კორპი/მარკერი)-----------------20

დაფა ელექტრონული -----------------1

კარადა------------------------------------35

როუტერი----------------------------------2

მაცივარი-----------------------------------2

ნაძვის ხე -----------------------------------1

ტანსაცმლის საკიდი ---------------------1

ცეცხლმაქრი ------------------------------4

უსაფრთხოების  კამერები----------------4

მონიტორი----------------------------------1

პრინტერ/სკანერი -------------------------11

კომოდი------------------------------------5

ღია თარო----------------------------------11

წიგნების თარო ----------------------------3

სავარძელი --------------------------------3

კათედრა------------------------------------2

გახმოვანების სისტემა--------------------1

ფაქსის აპარატი ---------------------------1

N 20371/10 21.07.2023

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ:

1.ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N6-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი 01.14.03.042.137 საკადასტრო კოდით რომელიც თხოვების ხელშეკრულებით გადაეცა ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის ინსტიტუტს შემოსული დოკუმენტი 12475/10-02 საფუძველზე ითხოვს დროებით სარგებლობაში გადაეცეს აღნიშნულ ფართში განთავსებული ინვენტარი.(იხ.დანართი )

2. საქართველოს ტაილანდური კრივისა და კინბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის 2023წლის კორესპოდენციით **(თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრებით 5305/10-02 17.03.2023წ და 6015/10-02 28.03.2023წ)** ითხოვს თსუ-ს ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტერიტორიაზე 796,69 კვ/მ ფართის იჯარით გადაცემას, აღნიშნული ფართის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია დაზიანება მესამე ხარისხისაა, რაზეც ეცნობა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ წარედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2022 წლის 15 აგვისტოს N005295422 დასკვნა, რომლითაც იჯარით გასაცემი ობიექტი დეფორმაციით მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოადგენს II-III ხარისხის ავარიულ შენობას(იხ.დანართი ) თუმცა მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარე გამოხატავს თანხმობას აიღოს ფართი იჯარით, შეაკეთოს დაზიანება, ჩაატაროს კოსმეტიკური რემონტი, რათა სპორტსმენებს და სხვა მსურველებს შეექმნათ ვარჯიშის ნორმალური პირობები, ხოლო საქართველოს ნაკრების წევრები და უნივერსიტეტის სტუდენტები ივარჯიშებენ უფასოდ.

დანართი 4 ფაილი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 20274/10 21.07.2023

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის**

**ოქმი**

ქ. თბილისი 12.07.2023 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე

სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

არჩილ კუკულავა, რუსუდან ნასარიძე, ლიანა მჭედლიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა:

გიორგი შამათავა - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე);

მურმანი ცარციძე - კომისიის წევრი (საფინანსო დეპარტამენტის ექსპერტი);

მანონი ჯოჯუა - კომისიის წევრი (საფინანსო დეპარტამენტის უფროსი);

ლიანა ღვალაძე - კომისიის წევრი (საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

იოსებ სოფრომაძე - თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ერეკლე კუპატაძე - თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების უფროსი.

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის 2023 წლის კორესპონდენციებიდან (თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრებით 5305/10-02 17.03.2023წ და 6015/10-02 28.03.2023წ) და თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ დაზუსტებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ქ. თბილისში ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტერიტორიაზე არსებული 796,69 კვ/მ. ფართის იჯარით გაცემის საკითხი;

2. ფიზიკური პირის ლაშა უზარაშვილის განცხადება (თსუ-ში რეგისტრირებულია ნომრით 8135/10-02, 08.05.2023), რომლის თანახმად, განმცხადებელი ითხოვს უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგები) სასწავლო კორპუსის ეზოში 1756,60 კვ.მ. ფართის (მიწის ნაკვეთი) და უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე 784,79 კვ.მ. ფართის (მიწის ნაკვეთის) იჯარის ფორმით გადაცემას ბიზნეს საქმიანობისათვის, კერძოდ, ავტოტრანსპორტის სამრეცხაოების მოწყობის მიზნით.

**დღის წესრიგით განახილველ საკითხებთან** დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მოწვეულმა წევრმა ერეკლე კუპატაძემ კომისიის წევრებს მოახსენა შემდეგი:

**საკითხი 1.** თსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ დაზუსტდა იჯარით გასაცემი ფართის ოდენობა, რომელიც შეადგენს 796,69 კვ/მ, მისი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია დაზიანება მესამე ხარისხისაა, რაზეც ეცნობა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ წარედგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2022 წლის 15 აგვისტოს N005295422 დასკვნა, რომლითაც იჯარით გასაცემი ობიექტი დეფორმაციით მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოადგენს II-III ხარისხის ავარიულ შენობას, თუმცა მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარე გამოხატავს თანხმობას აიღოს ფართი იჯარით, შეაკეთოს დაზიანება, ჩაატაროს კოსმეტიკური რემონტი, რათა სპორტსმენებს და სხვა მსურველებს შეექმნათ ვარჯიშის ნორმალური პირობები, ხოლო საქართველოს ნაკრების წევრები და უნივერსიტეტის სტუდენტები ივარჯიშებენ უფასოდ.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და კომისიის წევრებმა მიიღეს რა დადებითი გადაწყვეტილება **ერთხმად დაადგინეს:**
საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

**საკითხი 2**. იჯარით გასაცემი მიწის ნაკვეთი, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმით, მდებარეობს სპეციალურ ზონა 1-ში, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიას. შესაბამისად, წარმოდგენილი პირობებით მიზანშეწონილი არ არის დაიწყოს წარმოება ფართის იჯარით გაცემის თაობაზე.

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა:**
მოქალაქე ლ. უზარაშვილს უარი ეთქვას განცხადებით წარმოდგენილ საკითხზე ოფიციალური შეტყობინებით.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

რუსუდანი ნასარიძე

უფროსის მოადგილე
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

ლიანა მჭედლიშვილი

მთავარი სპეციალისტი
სამეურნეო განყოფილება

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

# ექსპერტის დასკვნა
# FORENSICS REPORT




თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5005411622

15/08/2022

5005411622

"ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გიორგი შამათავას

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N7908/02-06-80 მომართვის (ბიუროს 2022 წლის 2 ივნისის რეგისტრაციის N1003774122) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005295422 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 44 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5005411622

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ______________________

თარიღი 16.08.2022 (ხელმოწერა) ბ.ა

005295422



## გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

ორგანიზაცია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამდებობა: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

მისამართი:

სახელი და გვარი: გიორგი შამათავა

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები:**

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 34 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი და მეორე კორპუსების (რომლებიც გასული საუკუნის 70-იან წლებშია აგებული) სიძველიდან გამომდინარე, მათი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით საჭიროებს ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას.

გთხოვთ, თქვენი ბიუროს შესაბამისი სამსახურის სპეციალისტებმა შეისწავლონ არსებული შენობების მდგომარეობა და მოამზადონ დასკვნა მათი უსაფრთხოების და საიმედოობის შესახებ.

შემოსვლის თარიღი: 02/06/2022 წ

გასვლის თარიღი: 15/08/2022 წ

## დასკვნა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი და მეორე კორპუსების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II-III ხარისხისაა და გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, საძირკვლებში განვითარებული არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. ამ ეტაპზე მყისიერი რღვევითი დეფორმაციების განვითარების საფრთხე არ არსებობს და შენობების ექსპლუატაცია შესაძლებელია მაგრამ, საფრთხის შემცველია სეისმური (7-8 ბალიანი) ძვრის შემთხვევაში. შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის შენობებზე საჭიროა ჩატარდეს აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც მათი სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება, კერძოდ: ცალკეულ მონაკვეთებზე საძირკვლების გაძლიერება, ორი შუა გრძივი კედლის მოწყობა შესაბამისი საძირკვლებით, სილიკატური აგურით ამოყვანილი კედლებისა და ტიხრების გარსაკრში ჩასმა, სართულშუა გადახურვის დაზიანებული ფილების გაძლიერება და სხვა. შენობების აღდგენა-გაძლიერება შესაძლებელია, თუმცა კონსტრუქციული ხასიათის, მოცულობით მასშტაბური სამუშაოებიდან გამომდინარე არარენტაბელურია.

პირველი კორპუსის ერთსართულიანი მიშენების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან

შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები III ხარისხისაა. აღნიშნულ ხარისხში დაზიანებული შენობების ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია და ექსპლუატაციისათვის დროებით უვარგისია. მისი აღდგენა-გაძლიერება შესაძლებელია, მაგრამ არარენტაბელობისა და ასაკობრივი ცვეთის გათვალისწინებით არამიზანშეწონილი.

ავთანდილ რომელაშვილი

## გამოკვლევა

2022 წლის 03 ივლისს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი, სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი და მეორე კორპუსების ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი, სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი და მეორე კორპუსები სარდაფით აშენებულია გასული საუკუნის 70-იანი წლებში და განთავსებულია დახრილ რელიეფზე. გეგმაში „Г"-ბრი ფორმისაა, გაბარიტული ზომებით დაახლოებით 66,0X18,0 მ. თითოეული კორპუსი შედგება სეისმური ნაკერით გაყოფილი ორი ბლოკისაგან. პირობითად პირველი ბლოკი (ცენტრალური შესასვლელის მხრიდან) გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში, ხოლო პირობითად მეორე ბლოკი ძირითადად გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში, ხოლო ცალკეული მონაკვეთები კომპლექსური კონსტრუქციებით. პირველი ბლოკის სვეტების განივი კვეთი 40,0X40,0 სმ-ია. ბიჯი და მალი 6,0 მ-ია. რიგელების განივი კვეთი 50,0X50,0 სმ-ია. კედლის შევსება ამოყვანილია სილიკატური აგურით, რაც მოქმედი სეისმური ნორმებით დაუშვებელია. მეორე ბლოკის მზიდი კედლების სისქე 40 სმ-ია და ასევე ამოყვანილია სილიკატური აგურით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. ტიხრებიც იგივე მასალითაა ამოყვანილი. სარდაფში განივი კედლები ნაწილობრივ ამოყვანილია მონოლითური ბეტონით, ბეტონის მსხვილი ბლოკებით და სილიკატური აგურით. სართულშუა გადახურვის დონეზე, მეორე ბლოკებზე რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყელი ფიქსირდება მხოლოდ გარე პერიმეტრზე არსებულ კედლებზე, ხოლო შიდა განივ კედლებზე ანტისეისმური სარტყელი არ შეინიშნება, რაც მოქმედი სეისმური ნორმებით დაუშვებელია (იხ. მუხლი 15, პუნქტი 7) სართულშუა გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით ე.წ. „სიმკარები"-ით. სარდაფის კედლები ამოყვანილია ბეტონის ანაკრები მსხვილი ბლოკებით, ხოლო საძირკვლები ლენტურია და შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონით. ორივე კორპუსში კიბეები მოწყობილია ანაკრები საფეხურებით ლითონის ჩანებზე (კოსოურებზე). სახურავი ბრტყელია და მოწყობილია რულონური ბურულით. მზიდ კედლებიან, პირობითად მეორე ბლოკებს არ გააჩნიათ შიდა გრძივი კედელი და გარე გრძივ კედლებს შორის მანძილი დაახლოებით16,0 მ-ია, რაც მოქმედი სეისმური ნორმებით დაუშვებელია, კერძოდ: ორსართულზე მეტი სიმაღლის შენობებისათვის, თუ გარე გრძივ კედლებს შორის მანძილი აღემატება 7,0 მ-ს, მაშინ აუცილებელია შიდა გრძივი კედლის მოწყობა (იხ. მუხლი 15, პუნქტი 13) პირველი კორპუსი შესასვლელის მხრიდან ხუთსართულიანია, ხოლო უკანა ფასადის მხრიდან სამსართულიანია სარდაფით (ფოტო 1, 2, 3, 4, 5, 6, 7). მეორე კორპუსი ცენტრალური შესასვლელის მხრიდან ოთხსართულიანია, ხოლო უკანა ფასადის მხრიდან სამსართულიანია (ფოტო 8, 9, 10, 11). პირველ კორპუსზე ფასადისა და ტორსული კედლის მხრიდან განხორციელებულია ერთსართულიანი მიშენება ნახევარსარდაფით (ფოტო 3, 7), გაბარიტული ზომებით დაახლოებით 42,0X27,0 მ. მიშენების კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია ნაწილობრივ კარკასულ და ნაწილობრივ მზიდ კედლებიან ვარიანტში. სვეტების განივი კვეთი 40,0X40,0 სმ-ია. ბიჯი და მალი 6,0 მ-ია. კედლები ამოყვანილია სილიკატური აგურით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, ხოლო ნახევარსარდაფის კედლები ამოყვანილია ბეტონის მსხვილი ბლოკებით. სართულშუა გადახურვა შესრულებულია ანაკრები ღრუტანიანი ფილებით. სახურავი ბრტყელია და მოწყობილია რულონური ბურულით.

დღევანდელი მდგომარეობით პირველი კორპუსის სარდაფის განივი კედლის მთელ სიმაღლეზე წარმოქმნილია ნაპრალისებრი ბზარი (ფოტო 12, 13). რამდენიმე მონაკვეთში განივ კედლებზე ფიქსირდება დახრილი ბზარები და ზედძირკვლის დონეზე ბეტონი ეროზირებულია და მცირე მექანიკური ზემოქმედებით იშლება (ფოტო 14, 15, 16). სართულშუა გადახურვის მრავალი ფილის ქვედა ზონაში ბეტონის დამცავი ფენა დაზიანებულია და ჩანს კოროზირებული არმატურა (ფოტო 17, 18, 19). დაბალკვალიფიციურ დონეზე შესრულებული სამუშაოების გამო, ცალკეულ რიგელებზე ფიქსირდება ბეტონის ვიბრირების დაბალი ხარისხი და ჩანს კოროზირებული არმატურა (ფოტო 20, 21). სარდაფის კედლებსა და გრუნტის იატაკზე ფიქსირდება წყლის შემოდინების კვალი. ზედა სართულებზე, გრძივ და განივ კედლებზე წარმოქმნილია დახრილი ბზარები (ფოტო 22, 23, 24, 25, 26, 27, 28) კედლებიდან ბზარები ვითარდება გადახურვის ფილების პირაპირებში (ფოტო 29, 30) დახრილი და ვერტიკალური ბზარებია წარმოქმნილი ტიხრებში, ასევე კედლებისა და ტიხრების გადაკვეთაზე (ფოტო 31, 32, 33, 34, 35, 36). პირველი კორპუსის გარე გრძივ და განივ კედლებზე განვითარებულია დახრილი ბზარები, ხოლო სეისმურ ნაკერებში წარმოქმნილია დამახასიათებელი ვერტიკალური ბზარები (ფოტო 37, 38, 39, 40, 41, 42). მრავალ მონაკვეთზე აშრევებულია და ნაწილობრივ ჩამოცვენილია ნალესი და აუცილებელია მექანიკური ზემოქმედებით მოხდეს აშრევებული ნალესის ჩამოშლა. სართულშუა გადახურვის დონეზე, რიგელების ქვედა ზონაში ვიზუალურად ვიბრირების ხარისხი დაბალია, ბეტონი

გამოტუტულია, ნაწილობრივ ჩამოშლილია და ჩანს კოროზირებული არმატურა (ფოტო 43, 44, 45, 46). როგორც გარე, ისე შიდა კედლების მრავალ მონაკვეთში აშრევებულია და ჩამოცვენილია ბათქაშის ფენა. თსუ-ს საკუთრებაში არსებული სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსი ტექნიკურად მოუვლელია.

პირველი კორპუსის ერთსაეთულიანი მიშენების კონსოლურმა რიგელებმა განიცადეს დეფორმაცია და შესამჩნევად დახრილია. სავარაუდოთ მოგვიანებით ლითონის მილებით მოწყობილია დამატებითი საყრდენები. ამჟამად ორ მალში ლითონის მილები მოცილებულია რიგელებს და როგორც დამატებითი საყრდენები არ მუშაობენ (ფოტო 47, 48, 49). მრავალ მონაკვეთში, რიგელების ბეტონი გამოტუტულია, ჩამოშლილია და ჩანს ძლიერ კოროზირებული არმატურა (ფოტო 50, 51, 52, 53), ასევე დაზიანებულია პარაპეტის რკინაბეტონის კონსტრუქცია და ჰიდროიზოლაცია (ფოტო 54). მიშენების მზიდ კედლებიან მონაკვეთში, შუაკედლისებში წარმოქმნილია დახრილი ბზარები, მათ შორის ნაპრალისებრი (ფოტო 55, 56, 57). სართულშუა გადახურვის დონეზე, ანტისეისმური სარტყლის ბეტონი გამოტუტულია, ჩამოშლილია და არმატურა კოროზირებულია (ფოტო 58). სარტყელში საკიდების ბიჯი 400 მმ-ია და აღემატება პრაქტიკაში მიღებულ ბიჯს 250 მმ-ს. მრავალ მონაკვეთზე აშრევებულია და ჩამოცვენილია ბათქაშის ფენა. ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ერთსართულიანი მიშენება ტექნიკურად მოუვლელია.

ამრიგად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის პირველი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II-III ხარისხისაა და გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, საძირკვლებში განვითარებული არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. ამ ეტაპზე მყისიერი რღვევითი დეფორმაციების განვითარების საფრთხე არ არსებობს და შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელია მაგრამ, საფრთხის შემცველია სეისმური (7-8 ბალიანი) ძვრის შემთხვევაში. შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის შენობაზე საჭიროა ჩატარდეს აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც მისი სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება, კერძოდ: ცალკეულ მონაკვეთებზე საძირკვლების გაძლიერება, ორი შუა გრძივი კედლის მოწყობა შესაბამისი საძირკვლებით, სილიკატური აგურით ამოყვანილი კედლებისა და ტიხრების გარსაკრში ჩასმა, სართულშუა გადახურვის დაზიანებული ფილების გაძლიერება და სხვა. შენობის აღდგენა-გაძლიერება შესაძლებელია, თუმცა კონსტრუქციული ხასიათის, მოცულობით მასშტაბური სამუშაოებიდან გამომდინარე არარენტაბელურია.

პირველი კორპუსის ერთსართულიანი მიშენების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები III ხარისხისაა. აღნიშნულ ხარისხში დაზიანებული შენობების ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია და ექსპლუატაციისათვი დროებით უვარგისია. მისი აღდგენა-გაძლიერება შესაძლებელია, მაგრამ არარენტაბელობისა და ასაკობრივი ცვეთის გათვალისწინებით არამიზანშეწონილი.

დღევანდელი მდგომარეობით მეორე კორპუსის სარდაფში, მონოლითური რკინაბეტონის რიგელების ქვედა ზონაში ფიქსირდება კოროზირებული საკიდები (ფოტო 59). ასევე გადახურვის ფილების ქვედა ზონაში, ბეტონი აშრევებულია, ჩამოშლილია და მუშა არმატურა ძლიერ კოროზირებულია (ფოტო 60, 61). კედლებზე წარმოქმნილია დახრილი ბზარები (ფოტო 62, 63, 64). კედლებისა და ტიხრების გადაკვეთაზე განვითარებულია ვერტიკალური ბზარები, ხოლო ტიხრების ცალკეულ მონაკვეთებზე ფიქსირდება ნაპრალისებრი ბზარები (ფოტო 65, 66, 67, 68, 69). გადახურვის ფილების პირაპირებში წარმოქმნილია გრძივი ბზარები და მრავალ მონაკვეთში ფიქსირდება ატმოსფერული ნალექების ჩამოდინების კვალი (ფოტო 70, 71, 72). სარდაფში კომუნიკაციებიდან ჟონავს წყალი, ასევე კედლებზე ფიქსირდება წყლის შემოდინების კვალი. გრუნტის იატაკი და კედლები დანესტიანებულია. შენობის ფასადებზე, მრავალ მონაკვეთზე ფიქსირდება ნალესის აშრევება და ნაწილობრივი ცვენა, რაც საფრთხის შემცველია და აუცილებელია აშრევებული ნალესის მექანიკური ზემოქმედებით ჩამოშლა (ფოტო 73, 74, 75). ცალკეულ მონაკვეთებზე რიგელების ბეტონის დამცავი ფენა ნორმით დასაშვებზე ნაკლებია და ჩანს კოროზირებული საკიდები და მუშა არმატურა (ფოტო 76, 77). სეისმურ ნაკერებში წარმოქმნილია დამახასიათებელი ვერტიკალური ბზარები. ზეძირკვლის დონეზე ბეტონი გამოტუტულია და მცირე მექანიკური ზემოქმედებით იშლება (ფოტო 78). ბაგების საერთო საცხოვრებლის მეორე კორპუსი ტექნიკურად მოუვლელია.

ამრიგად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი სტუდენტთა ბაგების საერთო საცხოვრებლის მეორე კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II-III ხარისხისაა და გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, საძირკვლებში განვითარებული არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. ამ ეტაპზე მყისიერი რღვევითი დეფორმაციების განვითარების საფრთხე არ არსებობს და შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელია მაგრამ, საფრთხის შემცველია სეისმური (7-8 ბალიანი) ძვრის შემთხვევაში. შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის შენობაზე საჭიროა ჩატარდეს აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც მისი სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება, კერძოდ: ცალკეულ მონაკვეთებზე საძირკვლების გაძლიერება, ორი შუა გრძივი კედლის მოწყობა შესაბამისი საძირკვლებით, სილიკატური აგურით ამოყვანილი კედლებისა და ტიხრების გარსაკრში ჩასმა, სართულშუა გადახურვის დაზიანებული ფილების გაძლიერება და სხვა. შენობის აღდგენა-გაძლიერება შესაძლებელია, თუმცა კონსტრუქციული ხასიათის, მოცულობით

მასშტაბური სამუშაოებიდან გამომდინარე არარენტაბელურია.

ავთანდილ რომელაშვილი

**გამოყენებული მასალები**

1. СП-13-102-2003

2. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"

3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

4. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეჟსაია